დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 7 ივნისი**

დისციპლინური საქმე №95/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 17 მაისის №95 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 18 მაისის №-- -- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1 საჩივრის ავტორის მითითებით, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგანაც იგი ჩაერია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციაში და დაარღვია კანონით დადგენილი ნორმები. ამასთან, გააუქმა მოწმის ჩვენებები.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლის მიერ სასამართლო საქმის მასალებიდან ამოღებულ იქნა დოკუმენტები, ასევე, სასამართლო სხდომის ოქმიდან წაშლილია გარკვეული მონაკვეთები.

1.3 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო 2022 წლის 30 დეკემბერს, თუმცა დღემდე არ ჩაბარებია დასაბუთებული გადაწყვეტილება.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2019 წლის 19 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგანტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის -- რეგიონული ოფისის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეების 2019 წლის 1 ივლისის №--, 2016 წლის 11 ოქტომბრის №-- და 2018 წლის 3 დეკემბრის №-- გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხე -- რეგიონალური ოფისისათვის №-- სარეგისტრაციო წარმოების განახლების დავალება და სადაო ქონების მოსარჩელის სახელზე აღრიცხვა. იმავე დღეს საქმე განაწილდა -- -- სასამართლოს მოსამართლე -- --.

2019 წლის 22 ივლისს -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელე -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა უძრავ ქონებებზე, მდებარე: --, სოფელი -- -- (ს/კ -- --) და --, სოფელი --

(ს/კ -- --) საკუთრების უფლების, საკადასტრო მონაცემების დაზუსტებისა და იპოთეკის რეგისტრაციების განხორციელება.

2019 წლის 24 ივლისის -- -- სასამართლოს განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნენ -- -- და -- --.

2.2. 2022 წლის 29 მარტს საქმე განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლე -- --. საქმეზე სასამართლოს სხდომები გაიმართა 2022 წლის 15 ნოემბერსა და 2022 წლის 9 დეკემბერს.

2022 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის, ასევე, მესამე პირის -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2022 წლის 30 დეკემბერს გამოცხადებულ იქნა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოცემულ საქმეში საჩივრის ავტორი ასევე უთითებს, რომ მოსამართლე -- -- მიერ გაუქმდა ორი მოწმის ჩვენება. სასამართლო სხდომის ოქმების დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროცესზე მოწმის დაკითხვა არ განხორციელებულა, შესაბამისად გაუქმებაში საჩივრის ავტორი სავარაუდოდ გულისხმობს მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ დაშვებისა და დაკითხვის, აგრეთვე მისი სასამართლოს მეშვეობით გამოძახების შესახებ, ვალდებულია მიუთითოს მისი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე ის, თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მოწმეს. ამავე მუხლი მე-4 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას გამოძახებული მოწმის დაკითხვაზე ან არ გამოიძახოს იგი, თუ ცნობს, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც იძახებენ მოწმეს, არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის.

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებისა და გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

მოსამართლე -- -- გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ იკვეთება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შეწყდეს -- -- 2023 წლის 17 მაისის №95 საჩივრის საფუძველზე არსებული დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №95/23 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, შესაძლო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. და 1.3. პუნქტები).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი